ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15230898**
თარიღი:**30/03/2023**

ქალაქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242 დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. განაშენიანების დეტალური გეგმის დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნას:

ა) საბალანსო ერთეულებთან მიმართებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაცია;

ბ) გეგმარებით ერთეულში მაცხოვრებლების მხრიდან მიჩნეული სოციოლოგიურ კვლევაში ასახული ცალკეული მაკომპენსირებელი ღონისძიებები;

გ) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევაში მოცემული საპროექტო და გასაფართოებელი ქუჩების მოწყობის გეგმა.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი